ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ნიკოლოზ კახეთელიძის ანგარიში 2024 წლის 1-ელი ნოემბრიდან 2025 წლის 1-ელ ნოემბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ

(01.11.2024 - 01.11.2025)

თბილისი
2025

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ნიკოლოზ კახეთელიძე:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მეშვიდე მოწვევის საკრებულოს წევრი
- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარე
- ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიის წევრი
- ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია - "ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო"-ს წევრი
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობაში მონაწილეობა

❖ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარის საქმიანობა

2024 წლის 1-ელი ნოემბრიდან 2025 წლის 1-ელ ნოემბრამდე, საქართველოს კანონმდებლობით, საკრებულოს რეგლამენტითა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 21 ივლისის №3-7 დადგენილებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელდა **შემდეგი სამუშაოები**:

➢ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის სხდომები, განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები

საანგარიშო პერიოდში (01.11.2024წ. - 01.11.2025წ.) გაიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის 13 სხდომა.

კომისიის 13 სხდომაზე განხილულ იქნა 84 საკითხი. მათ შორის, განხილული და შესაბამისი გადაწყვეტილება იქნა მიღებული შემდეგ საკითხებზე:

- ✓ „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტები (სულ: განხილულ იქნა 70 დადგენილების პროექტი).

  კომისიის გადაწყვეტილებით, ის წინადადებები, რომლებიც არგუმენტირებული დასაბუთების და/ან სათანადო დოკუმენტაციის გარეშე იქნა წარმოდგენილი, უარყოფითად შეფასდა ან/და დამატებითი შესწავლის მიზნით მათი განხილვა გადაიდო. ფუნქციური ზონების ცვლილებების (მათ შორის, კომისიის მიერ დამატებითი შესწავლის მიზნით გადადებული ან უარყოფითად შეფასებული განცხადებების) თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები, შესაბამისი სამართლებრივი დასკვნების საფუძველზე, ეცნობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

- ✓ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (სულ: 2 პროექტი);

- ✓ „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2014 წლის 12 დეკემბრის №17-46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (სულ: 2 პროექტი);
- ✓ „მეორეული საბურავების, შავი და ფერადი ლითონების ჯართის, ექსპლუატაციიდან გამოსული სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ნაწილების, ადვილად აალებადი, ფეთქებადი და ამტვერებადი მასალის განთავსების ან/და რეალიზაციის წესის დამტკიცების თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის №54-35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (სულ: 1 პროექტი)
- ✓ კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის განსაზღვრის შესახებ;
- ✓ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 24 დეკემბრის №49-97 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (სულ: 3 პროექტი);
- ✓ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს რეორგანიზაციის შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს განკარგულების პროექტი (სულ: 1 პროექტი);

- ✓ “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-56 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოწონების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (სულ: 1 პროექტი);
- ✓ “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (სულ: 1 პროექტი);
- ✓ “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (სულ: 1 პროექტი);
- ✓ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმის (2030 წლამდე) დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (სულ: 1 პროექტი).

საანგარიშო პერიოდში (**2024 წლის 1-ელი ნოემბრიდან - 2025 წლის 1-ელი ნოემბერამდე**), კომისიის კომპეტენციას მიკუთვნებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების განხილვის შემდეგ მომზადდა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარედგინა 84 სამართლებრივი დასკვნა.

- **2024 წლის 1-ელი ნოემბრიდან 2025 წლის 1-ელ ნოემბრამდე განხილული წერილები/განცხადებები**

საანგარიშო პერიოდში **კომისიაში შემოვიდა 319 განცხადება/წერილი (მათ შორის საჯარო ინფორმაციის გათხოვის შესახებ), რომელზეც კომისიამ** შესაბამისი რეაგირება განახორციელა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად.

საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნის შესაბამისად, 2024 წლის 15 ნოემბერს, ქალაქ თბილისის მერმა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განსახილველად წარუდგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პირვანდელი პროექტის მიხედვით, თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა **1 826 308 600** (ერთი მილიარდ რვაას ოცდაექვსი მილიონ სამას რვა ათას ექვსასი) ლარით, რაც 2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (1 763 354 700 (ერთი მილიარდ შვიდას სამოცდასამი მილიონ სამას ორმოცდათოთხმეტი ათას შვიდასი) ლარი) მიმართებაში გაზრდილი იყო **62 953 900** (სამოცდაორი მილიონ ცხრაას ორმოცდაცამეტი ათას ცხრაასი) ლარით.

თავისთავად, საბიუჯეტო დაფინანსების ზრდა შეეხო ბიუჯეტის პროირიტეტებსაც, მათ შორის ***ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების პრიორიტეტსაც*** (კოდი 03). აღნიშნულ პრიორიტეტს დაემატა ახალი რეკრეაციული ტერიტორიების მოწყობა-რეაბილიტაციის პროგრამებიც (კოდი: 03 04; 03 04 01; 03 04 02; 03 04 03), რომლის ფარგლებში, 2025 წლისთვის დაიგეგმა სკვერების და პარკების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, საბავშვო ეტლით მოსარგებლეთა, ბავშვების, ქალების და კაცების საჭიროებების მაქსიმალური გათვალისწინებით. ბიუჯეტში აღნიშნული პროგრამების დამატების/ცალკე პროგრამებად გამოყოფის მთავარი მიზანია: თბილისში, რაც შეიძლება მრავალი მულტიფუნქციური სარეკრეაციო და გამაჯანსაღებელი კერების მოწყობა.

კომისიის მიერ წარდგენილი წინადადებები ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის პირვანდელ ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით

მიუხედავად იმისა, რომ 2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით, 2025 წლის ბიუჯეტის პირვანდელი პროექტით საბიუჯეტო დაფინანსების ზრდა დაფიქსირდა, რაც დადებით ტენდენციად შეფასდა, კომისიის 2024 წლის 19 ნოემბრის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით, კომისიამ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერსა და მთავრობას მიმართა შემდეგი წინადადებებითა და ინიციატივებით და ითხოვა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტში, შესაძლებლობის ფარგლებში დაფინანსების გაზრდა:

- **გამწვანების ღონისძიებებისთვის (კოდი: 03 01) - დამატებით 97 320 000 (ოთხმოცდაჩვიდმეტი მილიონ სამას ოცი ათასი) ლარით, მათ შორის შპს „ეკოსერვის ჯგუფის“ სუბსიდის გაზრდა - 11 000 000 (თერთმეტი მილიონი) ლარით;**
- **დასუფთავების ღონისძიებებისთვის (კოდი: 03 02)** - დამატებით **20 000 000 (ოცი მილიონი) ლარით;**
- **ზოოლოგიური პარკის განვითარების ხელშეწყობისთვის (კოდი: 03 03 01)** - დამატებით **7 617 600 (შვიდი მილიონ ექვსას ჩვიდმეტი ათას ექვსასი) ლარით;**
- **ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობისთვის (კოდი: 03 03 02)** - დამატებით **4 850 000 (ოთხი მილიონ რვაას ორმოცდაათი ათასი) ლარით;**
- **ცხოველთა მონიტორინგისთვის (კოდი: 09 02)** - დამატებით **6 953 018 (ექვსი მილიონ ცხრაას ორმოცდაცამეტი ათას თვრამეტი) ლარით.**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პირვანდელ პროექტთან მიმართებაში, გარემოს დაცვის კომისიის მიერ შეთავაზებული წინადადებები **ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების პრიორიტეტით გათვალისწინებული პროგრამების/ქვეპროგრამების (03)** ასიგნებების გაზრდასთან დაკავშირებით, საერთო ჯამში, გათვალისწინებულ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტში, რაც დადებითად შეფასდა კომისიის 2024 წლის 19 დეკემბრის სხდომაზე.

საბოლოოდ, **ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესების პრიორიტეტის დაფინანსება განისაზღვრა** 263 120 900 (ორას სამოცდასამი მილიონ ას ოცი ათას ცხრაასი) ლარით, რაც 2024 წლის დამტკიცებულ საბიუჯეტო ასიგნებასთან (221 611 100 - ორას ოცდაერთი მილიონ ექვსას თერთმეტი ათას ასი - ლარი) მიმართებაში გაიზარდა 41 509 800 (ორმოცდაერთი მილიონ ხუთას ცხრა ათას რვაასი) ლარით, ხოლო პირვანდელ პროექტთან მიმართებაში - 39 925 500 (ოცდაცხრამეტი მილიონ ცხრაას ოცდახუთი ათას ხუთასი) ლარით. მათ შორის: თბილისის მასშტაბით სკვერების მოწყობა/რეაბილიტაცია (მათ შორის რუსთაველის გამზირის გამწვანება) - 20 500 000 (ოცი მილიონ ხუთასი ათასი) ლარი, ნაგავშემკრები კონტეინერების (მათ შორის მიწისქვეშა) შეძენა - 11 000 000 (თერთმეტი მილიონი) ლარი, შპს თბილსერვის ჯგუფისათვის ბელიაშვილის ქუჩაზე საწყობის მშენებლობა - 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტით,

ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების პრიორიტეტით (კოდი 03) გათვალისწინებული პროგრამების/ ქვეპროგრამებისა და ცხოველთა მონიტორინგის (კოდი: 09 02) დაფინანსება:

- ✓ **გამწვანების ღონისძიებები (კოდი 03 01)** – 80 301 300 ლარი;
- ✓ **დასუფთავების ღონისძიებები (კოდი 03 02)** – 142 500 000 ლარი;
- ✓ **თბილისის ზოოლოგიური პარკის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 03 03 01)** – 6 670 800 ლარი;
- ✓ **ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 03 03 02)** – 10 164 700 ლარი;
- ✓ **რეკრეაციული ტერიტორიების მოწყობა-რეაბილიტაცია (კოდი 03 04)** – 23 484 100 ლარი, მათ შორის:
  - სამხედრო ქალაქის პარკის მოწყობა (კოდი 03 04 01) – 10 000 000 ლარი;
  - ვერის ბაღის რეაბილიტაცია (კოდი 03 04 02) – 13 484 100 ლარი.
- ✓ **ცხოველთა მონიტორინგის (კოდი: 09 02)** - 12 962 100 ლარი.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ 2025 წლის განმავლობაში, ბიუჯეტის დაზუსტებისას, გაწეული ეკონომიებისა და გრანტების საფუძველზე, განხორციელდა ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების პრიორიტეტით (კოდი: 03) გათვალისწინებული პროგრამების/ქვეპროგრამების, ასევე, ცხოველთა მონიტორინგის (კოდი: 09 02) დაფინანსების გაზრდა.

➢ გამწვანება, სარეკრეაციო სივრცეები

საანგარიშო პერიოდში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიებზე:

- ✓ სანიტარიული ჭრის ფარგლებში მოსაჭრელად მოინიშნა 24 550 ხმელი და ხმობადი ხე და მოიჭრა 24 550 ხე, ამოღებულ იქნა წინა წლებში მოჭრილი 168 ხის კუნძი;
- ✓ ჭრები განხორციელდა თბილისის ცენტრალურ უბნებში, სოფელ წავკისის მიმდებარედ (ნახანძრალი ტერიტორია) წყნეთის ტყეპარკსა და წყნეთის გზატკეცილზე, თბილისი-კოჯრის დამაკავშირებელ გზაზე, ოქროყანის მიმდებარედ, ვალიკო ჯუღელის გზატკეცილზე, იუნკერთა ქუჩაზე; თბილისის ზღვის მიმდებარედ, ლისის ტბის მიმდებარედ და სხვ.;
- ✓ თბილისის მასშტაბით, გამწვანების თარგებში შეტანილ იქნა 30 578 $მ^3$ ნოყიერი მიწა; მოჭრილ და გატანილ იქნა 9 022 $მ^3$ ძველი საფარი, ასფალტის საფარი და ინერტული მასა; მოიჭრა და ერთ ნიშნულზე მოსწორდა 37 847 კვ.მ. ფართობი;
- ✓ ჰიდროთესვის პრინციპით გამწვანების თარგებში დაითესა 164 894 კვ.მ. ბალახი;
- ✓ სხვადასხვა მისამართებზე დაიგო 31 284 კვ.მ. რულონური გაზონი;
- ✓ პარკებში, სკვერებში და ქალაქის მოედნებზე დაირგო 300 960 სეზონური ყვავილი;
- ✓ ტყის გაშენების პროექტის ფარგლებში, ქ. თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ხუდადოვის ტყის ტერიტორიაზე 15 ჰა ფართობზე დაირგო 14 424 ცალი სხვადასხვა სახეობის ნერგი;
- ✓ რატევანის ქუჩის მიმდებარედ არსებულ ფართობზე, ტყის აღდგენის მიზნით შემუშავდა ტყის აღდგენის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ამ ტყის ნაწილზე მიმდინარე წლის 15 დეკემბრამდე 10 ჰა ფართობზე 10 170 ცალი სხვადასხვა სახეობის ნერგის გაშენებას;

- ✓ განხორციელდა წინა წლებში დარგული მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა: ზარაშვილის ქუჩის მიმდებარედ არსებულ ფართობზე (18 ჰა, 13 579 ნერგი), ლისის ტბის მიმდებარე ფართობზე (16 ჰა, 16 776 ნერგი) და ხუდადოვის ტყის ტერიტორიაზე (15 ჰა, 14 426 ნერგი). მოვლა-პატრონობა (მორწყვა, ჯამების მოწყობა) ჩაუტარდა სულ 44 781 ნერგს;
- ✓ სანერგეში განთავსდა (ჩაბარებულ იქნა) 41 941 მცენარე, მათ შორის: 4 621 დიდი ზომის ხე, 32 195 დეკორატიული ბუჩქი, 1 200 ბალახოვანი დეკორატიული მცენარე, 1 250 მცირე ზომის ხე და 2 675 მცირე ზომის დეკორატიული ბუჩქი (პ9);
- ✓ სარწყავი სისტემა მოეწყო 18 ობიექტზე, მათ შორის: ხუდადოვის ტყის ტერიტორიაზე; კოსტავას ქუჩა №63-ის მიმდებარედ, გმირთა მოედანზე არსებულ გამწვანებულ თარგებში; ბობ უოლშის ქუჩა №25-ში; „ლაგუნა ვერეს“ მიმდებარედ არსებულ თარგებში; გახოკიძის ქუჩაზე არსებულ თარგებში; თამარაშვილის ქუჩის შუა გამყოფ ზოლში; ზღვის უბნის დასახლებაში - ე.წ. „თემქის ხევის პარკში“; დემეტრე თავდადებულის ქუჩა №26 მიმდებარედ; ვარკეთილის IV მიკრორაიონში (ს.კ.: 01.19.39.001.085), გახოკიძის ქუჩისა და კახეთის გზატკეცილის კვეთაზე არსებულ თარგებში; ვარკეთილის მეურნეობაში (ს.კ.: 81.08.28.978); მზიურის პარკში (ს.კ.: 01.14.1.005.170); ლევან ალექსიძის ქუჩა №7-ის მიმდებარედ; გობრონიძის ქუჩაზე (ს.კ.: 01.11.13.002.128); მოსკოვის გამზ. №3-5 ის მიმდებარედ; მეგობრობის ქუჩაზე (ს.კ.: 81.08. 28.978).

✓ სარეკრეაციო სივრცეები - პარკები, სკვერები

დასრულებული პროექტები:

საანგარიშო პერიოდში:

მოეწყო:

- გლდანის პატარა ტბის მიმდებარედ არსებული გამწვანებული ტერიტორია;
- მეგობრობის ქუჩის მიმდებარედ, ვარკეთილის მეურნეობაში არსებული პარკი;
- გლდანის VIII მიკრორაიონში, კორპუსი 29-ისა და 33-ის მიმდებარედ არსებული სკვერი;
- ხუდადოვის ტყე-პარკის ცენტრალური ბილიკი;
- ავლაბრის მიმდებარედ არსებული მწვანე კედელი;
- გლდანის VIII მიკრორაიონში, 28-ე კორპუსის მიმდებარედ არსებული სკვერი;
- ვაკის რაიონი წყნეთის გზატკეცილი მოსასვენებელი სივრცე.

რეაბილიტაცია ჩაუტარდა:

- ვერის პარკს;
- სამგორის პარკს;
- ვაზისუბნის დასახლებაში, №8 კორპუსის მიმდებარედ არსებული სკვერის რეაბილიტაცია;
- ნუცუბიძის ფერდი IV მიკრორაიონში, 1-ელი, მე-2 და მე-3 კორპუსების მიმდებარედ არსებული სკვერს;
- ვახტანგ გორგასლის ქუჩაზე არსებულ შუა გამყოფ ზოლს;
- აკაკი წერეთლის გამზირი №55, № 56, № 67, № 69-71, № 71-73, № 79, № 95-97, № 109-ის მიმდებარე სკვერებს;
- ბორის პაიჭაძის ქუჩაზე არსებულ ბულვარს და შუა გამყოფ ზოლს;
- კუნძულ ტექსელის სახელობის სკვერს;
- მაიაკოვსკის სახელობის სკვერს;

✓ სარეკრეაციო სივრცეები - პარკები, სკვერები

რეაბილიტაცია ჩაუტარდა:

- ა.წერეთლის გამზირის და ა. გოგოლაურის ქუჩების კვეთაზე არსებულ სკვერს;
- რუსთაველის გამზირი № 52 არსებულ სკვერს;
- დემეტრე თავდადებულის ქუჩა № 18ა კორპუსის მიმდებარედ არსებულ სკვერს;
- ანაპის 414 დივიზიის ქუჩის მიმდებარედ არსებულ სკვერს;
- მუხიანის 4ბ მიკრორაიონის კორპუსი 33-ის მიმდებარე სკვერს;
- სანზონის დასახლება, №26-27 კორპუსების მიმდებარედ არსებულ სკვერს;
- ვაკის რაიონში, ნანტის სკვერს;
- გლდანის რაიონში, ვასაძის ქუჩაზე არსებულ 3 სკვერს;
- ვაკის რაიონში, ყიფშიძის ქუჩაზე არსებულ 4 სკვერს (ჟიული შარტავას სახელობის სკვერი);
- ვაკის რაიონში, ყიფშიძის ქუჩა №7-ის მიმდებარედ არსებულ სკვერს;
- ვაზისუბნის დასახლებაში, კორპუსი №8 მიმდებარედ არსებულ სკვერს.

მიმდინარეობს:

- პეტრე და იოსებ ოცხელების ქუჩაზე, №25, №25ა, №29, №30, №32 კორპუსების მიმდებარედ პარკის მოწყობა;
- დიდ დიღომში, დემეტრე თავდადებულის ქუჩაზე არსებული შუა გამყოფი ზოლის რეაბილიტაცია;
- აეროპორტის დასახლებაში, შალვა ჭანკოტაძის და ჯიმშერ მაისურაძის ქუჩების მიმდებარედ პარკის მოწყობა;
- აბაშვილის ქუჩა №3-ში, სამხედრო ქალაქის ტერიტორიაზე არსებული პარკის მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები;
- დიდ დიღომში, მე-3 მ/რ, № 30 კორპუსის მიმდებარედ, პარკის მოწყობა;
- ვარკეთილის მეურნეობაში პარკის მოწყობა;
- ვაკის პარკში არსებული შადრევნების და კასკადის რეაბილიტაცია;
- გახოკიძის ქუჩაზე არსებული სკვერების მოწყობა-რეაბილიტაცია.

✓ სარეკრეაციო სივრცეები - პარკები, სკვერები

რეაბილიტირებული ვერის პარკი

ქალაქის ცენტრალურ ნაწილში მდებარე ისტორიული პარკი ერთ-ერთი უძველესი და ყველაზე მნიშვნელოვანი რეკრეაციული სივრცეა, რომელსაც XX საუკუნის დასაწყისიდან ჰქონდა, როგორც საუბნო, ისე საქალაქო მნიშვნელობა და დღესაც განკუთვნილია ყველა ასაკის ადამიანისთვის.

პარკის განახლებული პროექტის დიზაინი მოქალაქეთა აქტიური ჩართულობით მომზადდა.

ვერის პარკი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსს ატარებს, რის გამოც მისი არსებითი გარდაქმნა ან შეცვლა არ განხორციელებულა. რეაბილიტაციის შედეგად, პარკში განახლდა ინფრასტრუქტურა და მოეწყო საბავშვო და სპორტული მოედნები, ძაღლების სასეირნო სივრცე, საფეხმავლო ბილიკები, შადრევანი, ფანჩატური, ბელვედერი, სასმელი წყლის შადრევანი და ადმინისტრაციული შენობა. სრულად შეიცვალა სარწყავი სისტემები, მოეწყო სანიაღვრე ქსელი, მიწისზედა კომუნიკაციები კი მიწისქვეშ განთავსდა.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო გამწვანებას. არსებული მრავალწლოვანი ხეები შენარჩუნდა, დამატებით დაირგო 5 131 ნერგი და 18 000 კვ.მ. ფართობზე დაიგო ბალახის საფარი. დამატებით მოეწყო 1 000 კვადრატული მეტრი ფართობი სივრცე.

რეაბილიტაციის შედეგად, თბილისს შეემატა სრულიად განახლებული, უმაღლესი ხარისხის ინფრასტრუქტურისა და თანამედროვე საინჟინრო სისტემებით აღჭურვილი მრავალფუნქციური რეკრეაციული ზონა, რომელიც მორგებულია განსხვავებული ასაკისა და ინტერესის მქონე მოქალაქეებზე.

❑ გლდანის პატარა ტბის გარშემო ახალი რეკრეაციული სივრცე

მიმდინარე წლის სექტემბრის თვეში, გლდანის პატარა ტბის გარშემო ახალი რეკრეაციული სივრცე გაიხსნა.

ტერიტორიის საერთო ფართობი 8,2 ჰექტარია, აქედან პარკის ტერიტორია 5,1 ჰა-ს შეადგენს. სარეკრეაციო სივრცეში მოეწყო საბავშვო და სპორტული მოედნები, ფრენბურთის ქვიშის მოედანი, საჩრდილობლები, სკამები და ურნები; დამონტაჟდა გარე განათებისა და ვიდეომეთვალყურეობის სისტემა; ტბაზე მოეწყო პირსი, საიდანაც ვიზიტორებს გარემოსა და ფრინველების დაკვირვება შეუძლიათ; გამწვანებისთვის დაიგო 22 757 კვ.მ ბალახი და დაირგო 2 491 ძირი მცენარე; ტერიტორიაზე მოეწყო ტერასული გამწვანება და სარწყავი სისტემა; პარკი სრულად არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის.

განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა გამწვანებაზე - მოეწყო სარწყავი სისტემა, შეტანილი იქნა ნოყიერი მიწის ნაზავი და მულჩი, 22 757 კვ.მ. ფართობზე დაიგო და დაითესა ბალახი, 2 491 ძირი სხვადასხვა სახეობის მცენარე დაირგო. გარდა ამისა, მოეწყო ტერასული გამწვანება, რომელიც ბუნებრივად შერწყმულია არსებულ ლანდშაფტთან.

პარკი სრულად არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის.

თუ აქამდე ტერიტორია მოუწესრიგებელი და სამშენებლო ნარჩენებისგან დანაგვიანებული იყო, დღეს პატარა ტბის ირგვლივ შექმნილია სრულად განახლებული გარემო. აღნიშნული პროექტი მომზადდა მოქალაქეთა აქტიური ჩართულობით.

პროექტის ჯამური ღირებულება 10 000 000 (ათი მილიონი) ლარია.

❑ ე.წ. სამგორის პარკი

2025 წლის სექტემბერში, კახეთის გზატკეცილზე მდებარე ე.წ. სამგორის პარკის სრული რეაბილიტაცია დასრულდა.

პარკში თბილისის მერიისა და კულტურის სამინისტროს ერთობლივი ძალისხმევით, განთავსდა მეფე ერეკლე მეორის ძეგლიც, რომელიც მოქანდაკე მერაბ მერაბიშვილის ესკიზის მიხედვით შეიქმნა.

პროექტის ფარგლებში, ორ ჰექტარ ფართობზე აშენდა თანამედროვე ინფრასტრუქტურა: სასეირნო ბილიკები, გარე განათებისა და ვიდეომეთვალყურეობის სისტემები, სპორტული და საბავშვო მოედნები, მოსასვენებელი პავილიონები, ამფითეატრი, შინაური ცხოველებისთვის განკუთვნილი ზონა, მაგიდის ტენისის სივრცე და მშრალი შადრევანი. დამონტაჟდა საპარკო ავეჯი და მოეწყო სასმელი წყლის შადრევნებიც.

განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა გამწვანებაზე, მოეწყო სარწყავი სისტემა, თარგებში შევიდა ნოყიერი მიწის ნაზავი და მულჩი, 17 854 კვადრატულ მეტრზე დაითესა და დაიგო ბალახი, დაირგო 4 722 ძირი ნერგი.

❑ საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი

საქართველოს ეროვნულ ბოტანიკურ ბაღში არსებულ იაპონურ ბაღს აღდგენის სამუშაოები ჩაუტარდა, რომელიც თბილისის მერიის, საქართველოში იაპონიის საელჩოს მხარდაჭერით და კომპანია JTI-ის პარტნიორობით განხორციელდა.

ოფიციალური გახსნის ცერემონია და დასრულებული სამუშაოების დათვალიერება შედგა 2025 წლის 4 აპრილს, რომელსაც დაესწრენენ: ბოტანიკური ბაღის დირექტორი, საქართველოში იაპონიის ელჩი იშიძუკა ჰიდეკი, ასევე ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში რობინ დანიგანი, ქალაქ თბილისის საკრებულოსა და მერიის წარმომადგენლები, აგრეთვე, მოწვეული სტუმრები.

პროექტის ფარგლებში, აღდგა იაპონურ ბაღში არსებული დაზიანებული ისეთი ელემენტები, როგორებიცაა: ტორის ჭიშკარი, მინიატურული ხიდი, ცერემონიების სცენა და სხვა.

სამუშაოები თავდაპირველი პროექტის მსგავსად, საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის მიმართვის საფუძველზე, იაპონური ლანდშაფტური კომპანია „კოსუგის“ (Kosugi Zohen Co) მიერ, ლანდშაფტის არქიტექტორის, საერთაშორისო პროექტების მენეჯერის, ანდრეას ჰამაჰერის უშუალო ხელმძღვანელობით განხორციელდა.

სამუშაო პროცესში იაპონელი სპეციალისტები, საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის მებაღეები და ტექნიკოსები მონაწილეობდნენ.

❖ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიის წევრი

✓ 2024 წლის 1-ელი ნოემბრიდან 2025 წლის 1-ელ ნოემბრამდე ჩატარდა ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიის 16 სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა 342 საკითხი.

კომისიის წევრის რანგში დასწრება: 16 სხდომა;

შესწავლილი საკითხების რაოდენობა: 342.

საანგარიშო პერიოდში კომისიის სხდომებზე საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად განხილული და შესწავლილი იქნა:

✓ ,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში განსახორციელებელი ფუნქციური ზონის 219 ცვლილება (დადებითი 218, გადაიდო 1);

- ✓ განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალებების, განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტებისა და განაშენიანების რეგულირების კორექტირებული გეგმების 184 პროექტი (181 დადებითი, 3 გადადებული);
- ✓ კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით დამტკიცებულ იქნა - 71 პროექტი (69 დადებითი, 2 გადადებული);
- ✓ დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით გაიცა 25 პროექტი.
- ✓ „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში შევიდა ცვლილებების 7 პროექტი;
- ✓ ასევე კომისიის სხდომაზე განხილულ იქნა 39 დადგენილების სხვადასხვა პროექტი.

❖ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის - “ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ წევრი

2024 წლის წლის 1-ელი ნოემბრიდან 2025 წლის 1-ელ ნოემბრამდე ფრაქციის სხდომაზე დასწრების რაოდენობა: - 16, განხილული საკითხების რაოდენობა: 29.

❖ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობაში მონაწილეობა

- 2024 წლის წლის 1-ელი ნოემბრიდან 2025 წლის 1-ელ ნოემბრამდე საკრებულოს სხდომებზე დასწრებისა და შესწავლილი საკითხების რაოდენობა:

- საკრებულოს 16 სხდომა;
- საკრებულოს ბიუროს 20 სხდომა.

- **ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების განხილვაში მონაწილეობა**

✓ *განკარგულება - 742;*

✓ *დადგენილება - 103.*

(სულ განხილულ იქნა 845 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი).

მადლობა ყურადღებისთვის

პატივისცემით,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი,

გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარე

ნიკოლოზ კახეთელიძე

საქართველო, თბილისი 0105,
თავისუფლების მოედანი 2
www.tbsakrebulo.gov.ge